

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლის შესახებ

ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, შემდგომში მხარეებად წოდებულნი შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1

მხარეები ცნობენ სამართლებრივი აქტების ორმხრივი საინფორმაციო გაცვლის აუცილებლობას ნორმატიული სამართლებრივი აქტების თემატურ ჩამონათვალში აღნიშნულ იმ საკითხებზე რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოთაშორის გაცვლას და ღიაა გამოსაქვეყნებლად (თან ერთვის).

#### მუხლი 2

თითოეული მხარე კისრულობს მიაწოდოს მეორე მხარეს მოთხოვნილი ინფორმაცია სამართლებრივი აქტების შესახებ.

ინფორმაცია, რომელიც თანამშრომლობის პროცესში მიიღო ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს მხოლოდ ამ ინფორმაციის გადამცემი მხარის თანხმობით.

#### მუხლი 3

მხარეები, გამოიყენებენ რა ეროვნულ საინფორმაციო რესურსებს, ქმნიან მონაცემთა საკუთარ ეგალონურ ბაზებს სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლისათვის.

#### მუხლი 4

მხარეები, ახორციელებენ რა შეთანხმებულ ღონისძიებებს გაცვლის სისტემების შექმნისათვის, შესაბამისად განსაზღვრავენ:

უფლებამოსილ ორგანოს (სამინისტრო, კომიტეტი, უწყება), რომელიც კოორდინაციას გაუწევს მონაცემთა ეროვნული ეგალონური ბაზის შექმნასთან დაკავშირებულ სამუშაოებს და სამართლებრივი ინფორმაციის სახელმწიფოთაშორისი გაცვლისათვის კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებას.

ინფორმაციის მომხმარებელი სუბიექტების ჩამონათვალს;

ინფორმაციის სამართლებრივი რეჟიმს ნორმატიულად დადგენილ წესებს, რაც განსაზღვრავს ინფორმაციის საჯაროობის ხარისხს, ლოკუმენტირების, შეღწევის, შენახვის, გავრცელების და დაცვის წესებს.

## მუხლი 5

მხარეები უზრუნველყოფენ ერთობლივი სარგებლობისათვის განსაზღვრულ სამართლებრივი ინფორმაციის ეროვნულ რესურსებთან დაშვებას (მონაცემთა ეტალონურ ბაზებთან), ინახავენ მათ აქტუალურ (საკონტროლო) მდგომარეობაში და პასუხს აგებენ ინფორმაციის წარმოდგენის სისრულის, საიმედოობის და დროულობისათვის.

## მუხლი 6

ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე მხარეები ინფორმაციას ცვლიან დოკუმენტების ელექტრონული გადაცემის გზით, იცავენ რა ღია სისტემებისათვის შეტყობინებებისა და პაკეტების კომუტაციის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ საშუალებებს ანდა სუბიექტ-მომხმარებლისათვის სამართლებრივი აქტების რუსულ ენაზე ქალაქში გადაცემის გზით.

## მუხლი 7

მხარეები აუცილებლად მიიჩნევენ:  
მონაცემთა ბაზების გაცვლისას ერთმანეთს მიაწოდონ მხარეთა კლასიფიკატორები და მათი ინსტიტუტები;  
განახორციელონ სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლა მოქმედი საინფორმაციო – საკომუნიკაციო სისტემებისა და კონფიდენციალური კავშირის ახლად შექმნილი სისტემების გამოყენებით.

## მუხლი 8

სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება შეთანხმებაში მონაწილე მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 9

ეს შეთანხმება არ შეეხება მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით.  
ყველა სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ მოლაპარაკების საფუძველზე.

## მუხლი 10

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.  
მხარეებს შეუძლიათ გამოვიდნენ წინამდებარე შეთანხმებიდან. შეთანხმებაში მონაწილეობაზე ერთ-ერთი მხარის უარი ძალაში შედის უარის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 6 თვის შემდეგ.  
მხარეები უფლებამოსილნი არიან შეიგანონ ცვლილებები და დამატებები აღნიშნულ შეთანხმებებში. ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება ოქმით, რომელიც

წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 11

შეთანხმება ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელიც დაინტერესებულია სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლით.

აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია 1994 წლის 23 ივნისს ქ. მოსკოვში ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე. ყველა ტექსტს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

რუსეთის ფედერაციის  
მთავრობის სახელით

## დანართი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა  
და რუსეთის ფედერაციის მთავრობას  
შორის სამართლებრივი ინფორმაციის  
გაცვლის შესახებ შეთანხმებასთან

## თემატური ჩამონათვალი

განკუთვნილი ნორმატიული სამართლებრივი  
აქტების სახელმწიფოთაშორისი გაცვლისათვის

1. სახელმწიფო წყობილების საფუძვლები.
2. სამოქალაქო სამართალი.
3. ქორწინება და ოჯახი.
4. სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა
5. საარბიტრაჟო პროცესი.
6. მოსახლეობის შრომითი მოწყობა და დასაქმება.
7. შრომა.
8. სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა.
9. ფინანსები და კრედიტები.
10. სახალხო მეურნეობა (მთლიანად).
11. საწარმოები და სამეწარმეო საქმიანობა.
12. მრეწველობა.
13. კაპიტალური მშენებლობა და კაპიტალური რემონტი.
14. ქალაქმშენებლობა და არქიტექტურული კომპლექსები.

15. ვაჭრობა.
16. საბინაო-კომუნალური მეურნეობა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.
17. განათლება.
18. გრანსპორტი და კავშირგაბმულობა.
19. მეცნიერება.
20. კულტურა.
21. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა.
22. მოსახლეობის ფიზიკური აღზრდა.
23. ბუნებრივი გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების. რაციონალური გამოყენება (მთლიანად).
24. კანონმდებლობა მიწის შესახებ.
25. კანონმდებლობა წიაღის შესახებ.
26. ტყეების დაცვა და გამოყენება.
27. წყლების დაცვა და გამოყენება.
28. ცხოველთა სამყაროს დაცვა და გამოყენება.
29. ატმოსფერული ჰაერის დაცვა.
30. გეოდეზია და კარტოგრაფია.
31. ჰიდრომეტეოროლოგია.
32. სახელმწიფო სამსახური.
33. თავდაცვა.
34. სახელმწიფო უშიშროება.
35. საბაჟო საქმე.
36. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.
37. სასამართლო, იუსტიცია, პროკურატურა.
38. სისხლის სამართლის კანონმდებლობა.
39. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.
40. სისხლის სამართლის სააღსრულებო კანონმდებლობა.
41. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.
42. საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები.
43. საერთაშორისო კერძო სამართალი და პროცესი. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.